შპს „კოპიპრინტ-2000“-ის დირექტორს
ზაზა არახამიას

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 5
ელ-ფოსტა: copyprint@copyprint.ge
ტელეფონი: (032) 238 50 18

რეკომენდაცია

მომსახურების სფეროში ასოციაციით სექსუალური ორიენტაციის და პროფესიული საქმიანობის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო ზაზა,

2021 წლის 12 ივლისს, საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (N7534/21) მომართა გ. ტ.-მა, რომლის ინტერესებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგენს ა(ა)იპ „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის WISG“ იურისტი ქეთევან ბახტაძე. განმცხადებელი მიუთითებს, რომ 2021 წლის 6 ივლისს, შპს „კოპიპრინტ-2000“-მა, ჰომოფობიური მოტივით, მას უარი უთხრა ორგანიზაციის *„ევროპული ადამიანის უფლებათა ქსელი“* ბეჭდის დამზადებაზე. საქმის შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა შპს „კოპიპრინტ-2000“-დან (შემდგომში: მოპასუხე; კოპიპრინტ-2000).

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განმცხადებლების პოზიცია

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ 2021 წლის 6 ივლისს მიმართა შპს „კოპიპრინტ-2000“-ს, ორგანიზაციის *„ევროპული ადამიანის უფლებათა ქსელი“* ბეჭდის დამზადებისათვის, კომპანიის თანამშრომელი კი, რომელსაც უნდა დაემზადებინა ორგანიზაციის ბეჭდის ყალიბი, გენდერული გამოხატვის გამო, ჰომოფობიურ ხუმრობებს ამბობდა. განმცხადებლის მითითებით, მისი რიგის მოსვლისთანავე, მან აღნიშნულ პირს შეუთანხმა ბეჭდის დიზაინი და როდესაც ორგანიზაციის სახელწოდება უთხრა, კომპანიის თანამშრომელმა დაიწყო *„თბილისი პრაიდის“ გინება, ლევან ვასაძის ქება და 5 ივლისის აქციაზე საუბარი.* განმცხადებელი აღნიშნულ პირს განუმარტავდა, რომ ის „თბილისი პრაიდს“ არ წარმოადგენდა და მომსახურების მიღება სურდა. განმცხადებლის მითითებით, როდესაც კომპანიის თანამშრომელმა მას უარი განუცხადა ბეჭდის დამზადებაზე, მან გადაწყვიტა აღნიშნული ტელეფონის საშუალებით ჩაეწერა.

განმცხადებელმა სახალხო დამცველს წარუდგინა აღნიშნული შეხვედრის აუდიო/ვიდეო ჩანაწერი, რომლითაც იკვეთება, რომ განმცხადებელმა გააფრთხილა კომპანიის თანამშრომელი, რომ საუბრის აუდიო/ვიდეო ჩაწერა მიმდინარეობდა.[1]

> განმცხადებელი: *„ბეჭედზე უარს რატომ მეუბნებით?“*
> კომპანიის თანამშრომელი: *„პრაიდიდან ვარო მეუბნები და მაგიტომ“*
> განმცხადებელი: *„არა პრაიდიდან არ ვარ უბრალოდ წარმოვადგენ ლგბტქ თემის უფლებადაცვით“...*
> კომპანიის თანამშრომელი: *„რატომ მიღებ, ვინ მოგცა მაგისი უფლება“*
> განმცხადებელი: „*იმიტომ გიღებთ, რომ მე წინასწარ გაგაფრთხილეთ რომ ვიღებ“*
> კომპანიის თანამშრომელი: „*ვინ მოგცა მაგისი უფლება რომ მიღებ“*
> განმცხადებელი: *„რატომ მეუბნებით უარს ბეჭდის გაკეთებაზე“*
> კომპანიის თანამშრომელი: *„აი, იმიტომ, რომ პრაიდის ხალხს ბეჭდებს არ ვუკეთებ“*
> განმცხადებელი: *„მე პრაიდის ხალხი არა ვარ, მე ვარ ლგბტქ უფლებადამცველი“*
> კომპანიის თანამშრომელი: *„არ გიკეთებ“*
> განმცხადებელი: *„რატომ არ მიკეთებ?“*
> კომპანიის თანამშრომელი: *იმიტომ .. პროპაგანდას ეწევით და იმიტომ“*
> განმცხადებელი: *„არ ვეწევი, ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ხალხს ეხმარება ჩაგრულ ჯგუფებს“*
> კომპანიის თანამშრომელი: *„არ ეხმარებით თქვენ ხალხს, თქვენ პირიქით, ჩაგრავთ ხალხს, ის ხალხი რომელიც მასეთია ცოდვაა და ხმას არ იღებს და ჩუმად არიან, თქვენ ყვირიხართ მარტო“*
> განმცხადებელი: „*ბატონო გამიმზადეთ ეხლა“*
> კომპანიის თანამშრომელი: *„არ გაგიკეთებთ“*
> განმცხადებელი: „*აი ,5 წუთის ამბავია“*
> კომპანიის თანამშრომელი: *„არ გაგიკეთებ, პრინციპი მაქვს ასეთი...ახლა მე მაინტერესებს რუსეთუმე ვარ“*
> განმცხადებელი: „*ბატონო, ჩვენ ვიცავთ დაჩაგრულ ხალხს, საერთოდ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ამას“*
> კომპანიის თანამშრომელი: *„რუსეთუმე ვარ“*
> განმცხადებელი: *„თქვენი იდეოლოგია მე არ ვიცი, ვიხდი თანხას“*
> კომპანიის თანამშრომელი: *„არ გაგიკეთებ“*
> განმცხადებელი: *„რატომ“*
> კომპანიის თანამშრომელი: *„იმიტომ პრინციპი მაქვს ასეთი, შეგიძლია იჩივლო წახვიდე კელი დეგნანთან, იმიტომ რომ რუსეთუმე ვარ“*
> განმცხადებელი: *„მე არა ვარ პრაიდიდან, მე ვარ უბრალოდ ჩვეულებრივი უფლებადამცველი“*
> კომპანიის თანამშრომელი: *„მაგენის უფლებადამცველი“*
> განმცხადებელი: *„მაგენის რისი? ლგბტ ხალხის?“*
> კომპანიის თანამშრომელი: *„ხო“*
> განმცხადებელი: *„ნებისმიერი მოწყვლადი ჯგუფის“*
> კომპანიის თანამშრომელი: *„ჩემზე კარგად არავინ არ იცავს, ჩემზე მეტად არავის არ ეცოდება ეს ხალხი იცი მაგი? თუ იცი მაგი ? თქვენაირი ხალხი, რასაც აკეთებთ საერთოდ საქართველოში არაფრის ღირსი არ ხართ, მაგის გაკეთების კი არა, არანაირი მომსახურება თქვენ არ უნდა გაგიწიონ ხალხმა.. გასაგებია? დადექი ახლა და მიღე?“*
> განმცხადებელი: *„ორი წუთის საქმეა ძაან ჭირდება“*
> კომპანიის თანამშრომელი: *„არ გაგიკეთებ, პრინციპი მაქვს ასეთი“*
> განმცხადებელი: *„აი, რა დაშავდება“*

კომპანიის თანამშრომელი: *„დილიხორი მაქვს ასეთი რა ..ვსო დავამთავრეთ ლაპარაკი...“* ამ დროს ჩანაწერში ისმის კაცის, სავარაუდოდ, კომპანიის სხვა თანამშრომლის ხმა *„ოქრო ხარ დავით“, კერძო ბიზნესია, როგორც უნდა ისე წყვეტს რა“.*

გარდა ამისა, ჩანაწერში, გარკვევით ისმის, რომ განმცხადებელი ცდილობს გაიგოს, თუ ვინ არის კომპანიის ხელმძღვანელი, რაზეც აღნიშნული პიროვნება პასუხობს: „რა მნიშვნელობა აქვს შენთვის მენეჯერს რას კითხულობ, მე ვარ ჩემი თავის მენეჯერი“. ასევე განმცხადებელი მიუთითებს, რომ დისკრიმინაციული მოტივით ეუბნება უარს მომსახურებაზე, რაზეც აღნიშნული პიროვნება პასუხობს, რომ მას ეს არ აინტერესებს. ამ კომუნიკაციაში ერთვება ქალიც, სავარაუდოდ, ასევე კომპანიის თანამშრომელი, რომელიც

[1] **შენიშვნა:** წარმოდგენილია მხარეთა საუბრის ძირითადი ნაწილის ტრანსკრიპტი

აღნიშნავს, რომ ყველაფერი ნებაყოფლობითია, განმცხადებელს მიუთითებს რომ დატოვოს მათი კომპანია და „სხვაგან მიბრძანდეს“.

განმცხადებლის განმარტებით, შიშის გამო, დატოვა „კოპიპრინტ-2000“-ის შენობა, ასევე, მიუთითა მძიმე ემოციურ ფონზე და აღნიშნა, რომ მომხდარის გამო დასჭირდა ფსიქოლოგის დახმარება.

1.2. მოპასუხე - „შპს „კოპიპრინტ-2000“ ის პოზიცია

მოპასუხის 2021 წლის 4 სექტემბრის პასუხში აღნიშნულია, რომ მათი ორგანიზაცია 2006 წლიდან მშვიდობიანად თანამშრომლობს სხვადასხვა რელიგიური კონფესიების, ეთნიკური/ეროვნული ჯგუფების წარმომადგენლებთან. მოპასუხის განმარტებით, განმცხადებელს კონფლიქტი სურდა, იქცეოდა გამომწვევად, რათა საჩივარი დაეწერა და თავი მსხვერპლად წარმოეჩინა. მოპასუხემ უარყო განმცხადებლის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება და აღნიშნა, რომ თანამშრომელი შეუძლოდ გახდა და დასჭირდა სამედიცინო მომსახურების მიღება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოპასუხემ არ გასცა პასუხი სახალხო დამცველის აპარატის მიერ დასმულ კითხვებს და_არ დაასახელა იმ პირის ვინაობა, ვინც ვიდეოჩანაწერზე ჩანს. საგულისხმოა ისიც, რომ წერილში მოპასუხემ 5 ივლისის „თბილისის პრაიდის“ მოვლენებზეც მიუთითა და აღნიშნა, რომ დროის ამ პერიოდში საზოგადოებაში დაძაბულობა იგრძნობოდა.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს

2.1.1. პიროვნების თავისუფალი განვითარების და საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უფლებები

დისკრიმინაციის ფაქტის შეფასებისას, თავდაპირველად, საჭიროა განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომლით სარგებლობისას შესაძლოა პირს ხელი შეშლოდა.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, „პირველ რიგში, გულისხმობს ადამიანის პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის უფლებას. სწორედ პიროვნულობა განსაზღვრავს ადამიანის არსს, მიუთითებს მის ინდივიდუალურ და

[2] საქართველოს კონსტიტუცია, მე-12 მუხლი (1995)

სხვებისგან განმასხვავებელ მახასიათებლებზე".[3]პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, თავისი არსით, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელების ფუნდამენტურ გარანტიას, რომელიც იცავს ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების საკუთარივე შეხედულებისამებრ წარმართვის თავისუფლებას.[4]

ამავდროულად, მოიცავს პირის ინტიმური ცხოვრების სფეროს, საკუთარი სქესის თუ სექსუალური ორიენტაციის განსაზღვრის უფლებასა და სექსუალური ქცევის არჩევის თავისუფლებას.[5] ასევე ამ უფლებით „დაცულია პირის ნებისა და ქმედების თავისუფლება როგორც კერძო, ისე საჯარო სივრცეში".[6]

ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივი პროგრესი, თითოეული ადამიანის პიროვნული ბედნიერება. ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფს მისი ნიჭის, პიროვნული შესაძლებლობებისა და უნარის განვითარებას *და, ამ თვალსაზრისით, იგი ადამიანის ღირსების უფლების განუყოფელი ნაწილია.* შესაძლებლობების განვითარებით, ცოდნის მიღებით, გარესამყაროსთან მისი ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება ადამიანი თავისუფალ პიროვნებად, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა.[7]

საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და უზრუნველყოფის უფლებას ითვალისწინებს ევროკავშირის დირექტივები. დირექტივა 2004/113/EC[8] ხაზს უსვამს, რომ ის ვრცელდება ყველა პირზე, რომელიც არის საქონლისა და სერვისის მიმწოდებელი, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში. 2000/43/EC[9] დირექტივა ვრცელდება როგორც დასაქმების სფეროზე, ასევე, საქონელსა და მომსახურებაზე. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ზემოაღნიშნული დირექტივების იმპლემენტაციის გზით მოხდა ანტი-დისკრიმინაციული ნორმების კერძო სფეროში გავრცელება. დირექტივები სახელმწიფოებს ავალდებულებს, უზრუნველყონ ეფექტური კერძო სამართლებრივი დაცვის საშუალებები, როდესაც ადგილი აქვს ნებისმიერი სახის კერძო პირებს შორის დისკრიმინაციას.

დიდი ბრიტანეთის 2010 წლის თანასწორობის აქტი (Equality Act 2010) კრძალავს დისკრიმინაციის გამოვლინების ყველა ფორმას. ამასთან, 29-ე მუხლი განმარტავს, რომ მომსახურების მიმწოდებელმა არ უნდა განახორციელოს დისკრიმინაცია იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც სურს შეთავაზებული მომსახურებით სარგებლობა.[10]

---

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N 2/1/536,II, § 54
[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება N3/7/679 , II, 2
[5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N 2/1/536 §56
[6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №2/4/570 გადაწყვეტილება II-9
[7] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი,2013 წ, გვ. 88
[8] https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2004:373:0037:0043:en:PDF
[9] https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32000L0043:en:HTML
[10] https://www.legislation.gov.uk/ukpga/2010/15/contents

2019 წელს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილების თანახმად, ***<u>თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება აგრეთვე: საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების მიღებაზე (საცხოვრებლის ჩათვლით).</u>***[11]

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იმ პირებს, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ***იძენენ ან სარგებლობენ ქონებითა და მომსახურებით,*** დაუსაბუთებლად არ შეიძლება ეთქვათ უარი ხელშეკრულების დადებაზე, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარე მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. *ამდენად, საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ უკრძალავს სერვისის მიმწოდებელს დაუსაბუთებელი უარის თქმას საქონლის ან/და მომსახურების შეთავაზებისას.*

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელს მისი საქმიანობიდან გამომდინარე ესაჭიროებოდა ბეჭდის დამზადება, მოპასუხე ორგანიზაცია კი უზრუნველყოფს პოლიგრაფიულ სერვისს, ლაზერულ გრავირებასა და ჭრას, <u>ბეჭედის და შტამპის დამზადებას,</u> შიდა და გარე რეკლამას, ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინს, კედლის აბრების, ბრელოკების, პასტების, მაიკების დამზადებას და სხვა.[12] აღნიშნული მომსახურების მიღების შესაძლებლობა მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, მათ შორის განმცხადებლის და მისი ორგანიზაციისადმი, ამდენად, თანასწორობის სრულფასოვანი რეალიზებისთვის მოპასუხე ორგანიზაციას გარკვეული ვალდებულებებიც აკისრია. შესაბამისად, საჯაროდ ხელმისაწვდომი შემოთავაზების ფარგლებში განმცხადებელს უნდა მისცემოდა შესაძლებლობა, რომ მისი თავისუფალი ნების რეალიზება მოეხდინა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი მომსახურებით ესარგებლა. მოპასუხე კომპანიის უარის შედეგად კი განმცხადებელს შეეზღუდა პიროვნების თავისუფალი განვითარების და საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უფლებები.

2.2. კომპარატორი-შესადარებელი სუბიექტი

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.[13] ამასთან, ევროპული სასამართლო

[11] მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტი
[12] http://www.copyprint.ge/home/cardpage/18
[13] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, II, 19;

აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის შემთხვევაში განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.[14]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი, სხვა ორგანიზაციებთან თუ პირებთან შედარებით, არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენეს მისი პროფესიული საქმიანობის გამო, კერძოდ, ლგბტ+ თემის უფლებების დაცვის გამო. ამდენად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოპასუხე მხარის მიერ განმცხადებლის ლგბტ+ თემის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა დაედო საფუძვლად მის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას.

2.3. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია. **უფლების შეზღუდვის გასამართლებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა არსებობდეს ლეგიტიმური მიზანი.** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, **„ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია“.**[15]

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ მოპასუხეს სთხოვა შემდეგ საკითხებზე ინფორმაციის მოწოდება: *1) ვიდეოჩანაწერში მონაწილე პირის სახელი და გვარი და მისი წერილობითი ახსნა-განმარტება, თუ რატომ განუცხადა უარი განმცხადებელს ბეჭდის დამზადებაზე; 2) რა მოქმედებები განახორციელა კომპანიის ადმინისტრაციამ სავარაუდო დისკრიმინაციული ფაქტის შემდგომ; 3) მოქმედებს თუ არა შპს „კოპიპრინტში“ შინაგანაწესი (შიდა დოკუმენტი ან სხვა სამართლებრივი აქტი) რომელიც კრძალავს დისკრიმინაციულ ქმედებას.* აღსანიშნავია, რომ მოპასუხეს არცერთ ამ საკითხზე ინფორმაცია არ მოუწოდებია და შემოიფარგლა მხოლოდ მომხდარის უარყოფით და განმცხადებლის დადანაშაულებით, რომ მას სურდა ყოფილიყო მსხვერპლი.

საგულისხმოა, რომ მოპასუხე სადავოდ არ ხდის განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი აუდიო/ვიდეო ჩანაწერის ავთენტურობას და არგუმენტებს აღნიშნულ ჩანაწერზე არ ამყარებს. სახალხო დამცველი დასაშვებად ცნობს და ეყრდნობა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ჩანაწერს, რადგან მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა დისკრიმინაციული მოპყრობის დასადასტურებლად. ამასთან, ყურადსაღებია ისიც, რომ განმცხადებელს არ

---

[14] ECtHR, D.H. and Others v. the Czech Republic [GC], no. 57325/00, 13/11/2007, § 175;

[15] დამატებით იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება; №1/5/1271 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება N3/1/531, II, 15.

გადაუღია ფარულად მოპასუხე და გააფრთხილა კიდეც საუბრის ჩაწერის შესახებ. შესაბამისად, მხარეთა ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის მიღწევის მიზნით, სამართლებრივ სიკეთეთა აწონ-დაწონვის გზით, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ დასაშვებად უნდა იქნას ცნობილი განმცხადებლის მიერ მის მიმართ სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტის დასადასტურებლად წარმოდგენილი აუდიო/ვიდეო ჩანაწერები.

საქმეში არსებული აუდიო/ვიდეო ჩანაწერი მიუთითებს, რომ განმცხადებელმა მოპასუხეს აცნობა, რომ მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სხვადასხვა დაუცველი ჯგუფების, მათ შორის ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა უფლებების დაცვა.[16]

ცალსახაა, რომ მოპასუხე კომპანიის თანამშრომელი, (ვისი ვინაობაც კომპანიამ არ გვაცნობა) მკაფიოდ და არაორაზროვნად განმარტავს, რომ ვინაიდან განმცხადებელი მუშაობს ლგბტ+ თემის საკითხებზე და არის უფლებადამცველი, ამის გამო ეუბნება უარს მომსახურებაზე;[17] მეტიც, აღნიშნული პიროვნება გამოთქვამს მოსაზრებას, რომ განმცხადებლის მსგავსად სხვა ლგბტ+ უფლებადამცველებსაც მომსახურება არ უნდა გაუწიონ.[18] ცხადია, ბეჭდის დამზადებაზე უარი ვერ გამართლდება იმით, რომ განმცხადებელი ლგბტ+ თემის უფლებადამცველია. მოპასუხის ქმედებაში ჩანს საჯაროდ შეთავაზებული მომსახურების მიღების ინტერესის მქონე მომხმარებელთა უფლებების დარღვევაც, რაც განსაკუთრებით, საშიშია ურთიერთობის იმ ფორმით, რა ფორმითაც მომსახურების გამწევი ურთიერთობს განმცხადებელთან (ხმამაღალი ტონი, აგდებული და ცინიკური დამოკიდებულება).

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამ მუხლით განსაზღვრულ პირობებში დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა. აღნიშნული ნორმა თავის თავში მოიცავს ასოციაციით და აღქმით დისკრიმინაციას. ასოციაციით დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც ადამიანს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებენ, ვინაიდან მასთან დაკავშირებულ პირს აქვს დისკრიმინაციისგან დაცული რომელიმე საფუძველი. მოცემულ საქმეში როგორც უკვე აღინიშნა, მომსახურების გაწევაზე უარის მიზეზს წარმოადგენდა განმცხადებლის უფლებადაცვითი საქმიანობა, *ორგანიზაციის ბენეფიციარების სექსუალური ორიენტაცია*

---

[16] **შენიშვნა** იხ. ჩანაწერის ტრანსკრიპტი: ***„არა ჰრაიდიდან არ ვარ უბრალოდ წარმოვადგენ ლგბტქ თემის უფლებადაცვით“... მე ვარ ლგბტქ უფლებადამცველი“*** *ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ხალხს ეხმარება, ჩაგრულ ჯგუფებს“*

[17] **შენიშვნა:** აღნიშნულს ადასტურებს შემდეგი ფრაზები: *განმცხადებელი: „ბეჭედზე უარს რატომ მეუბნებით?“ კომპანიის თანამშრომელი: „ჰრაიდიდან ვარო მეუბნები და მაგიტომ“ განმცხადებელი: „რატომ მეუბნებით უარს ბეჭდის გაკეთებაზე“ კომპანიის თანამშრომელი: „აი, იმიტომ, რომ ჰრაიდის ხალხს ბეჭდებს არ ვუკეთებ“ განმცხადებელი: „რატომ არ მიკეთებ?“ კომპანიის თანამშრომელი: იმიტომ .. პროპაგანდას ეწევით და იმიტომ“ კომპანიის თანამშრომელი: „მაგენის უფლებადამცველი“ განმცხადებელი: „მაგენის რისი? ლგბტ ხალხის?“ კომპანიის თანამშრომელი: „ხო“*

[18] **შენიშვნა** იხ. ჩანაწერის ტრანსკრიპტი: ***თქვენაირი ხალხი, რასაც აკეთებთ საერთოდ საქართველოში არაფრის ღირსი არ ხართ, მაგის გაკეთების კი არა, არანაირი მომსახურება თქვენ არ უნდა გაგიწიონ ხალხმა.. გასაგებია? დადექი ახლა და მიღე?“***

და მისი მიზანი - ლგბტ+ თემს უფლებების დაცვაში დახმარება გაუწიოს. მოპასუხის მიერ უარი კი განპირობებული იყო მისი უარყოფითი დამოკიდებულებით ლგბტ+ თემის წარმომადგენლებისადმი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს მასზე თანაბარი წვდომის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან.[19] თანასწორობის იდეა ემსახურება ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობის გარანტირებას.[20] ხშირ შემთხვევებში სტიგმაზე დაფუძნებული დამოკიდებულებები მომდინარეობს კერძო პირებისგან, რაც გამოიხატება ლგბტ+ თემის წევრებისთვის ძირითადი უფლებებით სარგებლობაზე უარის თქმაში სხვადასხვა ფორმალური მიზეზის გამო.[21]

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია საქმის წარმოებისას მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტი, რომლის თანახმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც *დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა,* რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება ლეგიტიმური მიზნის წარმოდგენის და განსხვავების პროპორციულობის მტკიცების ტვირთი.

განსახილველ საქმეში, მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა ლეგიტიმური მიზანი, რომელიც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე წარმოშობილ დისკრიმინაციული ქმედების განხორცილების ვარაუდს გააქარწყლებდა. თავისთავად ის გარემოება, რომ მოპასუხე თანამშრომლობს სხვადასხვა რელიგიური კონფესიების, ეთნიკური/ეროვნული ჯგუფების წარმომადგენლებთან არ გამორიცხავს ლგბტ+ ადამიანების დისკრიმინაციას. სახალხო დამცველი იზიარებს განმცხადებლის პოზიციასაც, რომ მოპასუხე არ მიუთითებს ლგბტ+ თემის ადამიანებთან თანამშრომლობის მაგალითებზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *McFarlane v. United Kingdom*, რომელიც შეეხებოდა პიროვნებას, რომელიც მუშაობდა ქორწინების საკონსულტაციო და სქესობრივი თერაპიის კომპანიაში, უარი განაცხადა მომსახურება გაეწია გეი წყვილისთვის მისი რწმენის გამო; იგი სამსახურიდან გაათავისუფლეს სერიოზული

[19] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N 1/1/539, II, 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534, II, 3.
[20] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493, II, 1.
[21] საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 178-179

გადაცდომის გამო, რადგან მისი ქმედება ეწინააღმდეგებოდა კომპანიის დისკრიმინაციის დაუშვებლობის პოლიტიკას;[22] სასამართლოსთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო, რომ დამსაქმებლის ქმედება მიზნად ისახავდა ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის უზრუნველყოფას, რომ საზოგადოებისათვის მომსახურება მიეწოდებინათ დისკრიმინაციის გარეშე; შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ადგილი არ ჰქონია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევას არც დამოუკიდებლად და არც მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.[23] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია ნათელია: პირებს, რომლებიც აწვდიან საქონელსა და მომსახურებას საზოგადოებას, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში, არ შეუძლიათ მათი რელიგიური რწმენის გამო სამუშაო ადგილზე მისადაგების აღიარება, თუ ასეთი მისადაგება მოიცავს საზოგადოების ნაწილის გამორიცხვას სექსუალური ორიენტაციის გამო.[24]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ლგბტ+ თემის თანასწორუფლებიანობის მხრივ საქართველოში არსებულ პრობლემურ გარემოზე. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, სხვადასხვა ანგარიშებიდან სასამართლოსთვის ნათელია, რომ ლგბტ+ საზოგადოება მიიჩნევს, რომ საქართველოში მათი ცხოვრება სახიფათოა. ლგბტ თემის წარმომადგენლების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება საკმაოდ გავრცელებულია ქართულ საზოგადოებაში.[25]

აღსანიშნავია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, რომელიც მიუთითებს ღონისძიებებზე, რაც სახელმწიფომ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძვლით დისკრიმინაციასთან საბრძოლველად უნდა გაატაროს: ქვეყნებმა უნდა იზრუნონ, რომ საკანონმდებლო და სხვა ზომები, ეფექტურად დაინერგოს, რათა გამორიცხოს დისკრიმინაცია და უზრუნველყოფილი იყოს ლგბტ+ პირთა უფლებები და მათ მიმართ ტოლერანტული გარემო.[26]

გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია, საქართველოში კვლავ ერთ-ერთ გამოწვევად რჩება. ქვეყანაში არსებული ჰომოფობიური დამოკიდებულებები ხშირად ხდება ლგბტ+ თემის წარმომადგენლების სხვადასხვა უფლების დისკრიმინაციულად შეზღუდვის საფუძველი. თემის წევრების თანასწორუფლებიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის არც ერთ სფეროშია სათანადოდ დაცული. განსაკუთრებით

---

[22]LGBTI Rights before the European Court of Human Rights:One step at a time გვ.17 https://www.fidh.org/IMG/pdf/cedh624a2013bassdef.pdf ;

[23] CASE OF EWEIDA AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM, (Applications nos. 48420/10, 59842/10, 51671/10 and 36516/10), 27.05.2013 §109-110

[24] LGBTI Rights before the European Court of Human Rights:One step at a time გვ.18 https://www.fidh.org/IMG/pdf/cedh624a2013bassdef.pdf

[25] ECtHR, Identoba and others v. Georgia, no. 73235/12, 12/08/2015, § 68

[26] Recommendation CM/Rec(2010)5 of the Committee of Ministers to member states on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity, 31 March 2010

კრიტიკულია მდგომარეობა ლგბტ+ თემის წევრების მიერ გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით.[27]

განმცხადებელს მომსახურების გაწევაზე 2021 წლის 6 ივლისს ეთქვა უარი, 5 ივლისს თბილისში, სხვადასხვა ლოკაციაზე განხორციელებული ჯგუფური ძალადობის შემდეგ. შესაბამისად, აღნიშნული საქმის შეფასების კონტექსტში საგულისხმოა 2021 წლის 5 ივლისს დაგეგმილ ღირსების მარშთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის განაცხადება, რომ *წლებია გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებებით სარგებლობის მცდელობა ლგბტ+ თემის წევრებს და მათ მხარდამჭერებს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველ გარემოში უწევთ. ამის ფონზე, სახელმწიფო, ლგბტ+ თემის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობის აღების ნაცვლად, არასაკმარისი ღონისძიებებით და ზოგადი საჯარო განცხადებებით შემოიფარგლება. ჰომო/ტრანსფობიურად განწყობილი ადამიანების მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებსა და სავარაუდო დანაშაულებზე რეაგირება კი, უმეტეს შემთხვევაში, ფრაგმენტული და არაეფექტიანია.*[28] დამატებით, აღსანიშნავია, სახალხო დამცველის მიერ გავრცელებული საჯარო განცხადება 5 ივლისის გარშემო, კერძოდ, *„საქართველოს სახალხო დამცველი უკიდურესად შემაშფოთებლად მიიჩნევს ამ წუთებში რუსთაველის გამზირზე და მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისთან მიმდინარე ძალადობრივ მოვლენებს. მედიის მიერ გავრცელებულ კადრებში ნათლად ჩანს, თუ როგორ ესხმიან თავს ძალადობრივი ჯგუფები „ღირსების მარშის“ მხარდამჭერებს და ჟურნალისტებს. სახალხო დამცველი მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აღკვეთოს საჯარო სივრცეში მიმდინარე ძალადობა, რაც საფრთეს უქმნის მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ასევე, სამართლებრივი რეაგირება მოახდინონ ფიზიკური თავდასხმების და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებზე.“*[29]

2.3.1. კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს თავად კომპანია შპს „კოპიპრინტ-2000“-ის პასუხისმგებლობის საკითხსაც. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია: თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ისინი არსებობს, შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას. ასევე კანონის თანახმად, დაწესებულებამ სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება უნდა

[27]იხ. სახალხო დამცველის რეკომენდაცია სექსუალური ორიენტაციის და საქმიანობის სფეროს ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ https://www.ombudsman.ge/res/docs/2020013017545818531.pdf

[28]დეტალურად იხ. https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-ghirsebis-marshtan-dakavshirebit

[29]დეტალურად იხ. https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-rustavelis-gamzirze-mimdinare-movlenebis-shesakheb

მოახდინოს. საქმეში არსებული ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ განმცხადებელი მიმართავს კომპანიის წარმომადგენლებს, რომ მას არ ემსახურებიან დისკრიმინაციულად, რასაც არ მოჰყოლია სათანადო რეაგირება კომპანიის თანამშრომლების მხრიდან, პირიქით, განმცხადებელს განუმარტავს ერთ-ერთი თანამშრომელი, ***რომ ყველაფერი ნებაყოფლობითია, და სთხოვს მათი ოფისის დატოვებას და მომსახურების მისაღებად სხვა კომპანიაში წასვლას ურჩევს.*** ნიშანდობლივია ისიც, რომ კომპანიაში არ მოქმედებს *შინაგანაწესი (შიდა დოკუმენტი ან სხვა სამართლებრივი აქტი) რომელიც დისკრიმინაციულ ქმედებას აკრძალავდა. გარდა ამისა, ჩანაწერში ისმის* სავარაუდოდ, კომპანიის სხვა თანამშრომლის, მამაკაცის ხმა, რომელიც ასევე არ ცდილობს დისკრიმინაციის აღმოფხვრას და სიტუაციის დეესკალაციას და აგულიანებს მომსახურების გაწევაზე უარის მთქმელ პიროვნებას შემდეგი სიტყვებით: ***„ოქრო ხარ დავით“, კერძო ბიზნესია, როგორც უნდა ისე წყვეტს“,*** რაც თავის მხრივ, ცალსახად მიუთითებს მოპასუხე კომპანიაში დასაქმებული პირების მტრულ დამოკიდებულებაზე ლგბტ+ თემის ადამიანების და მათი უფლებადამცველების მიმართ.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიას თანამშრომლის ქმედების გამოსწორების და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ვალდებულება ჰქონდა, ხოლო მათ დისკრიმინაციის ჩამდენი პიროვნების ვინაობაც კი არ აცნობეს სახალხო დამცველის აპარატს და არ გაატარეს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად მინიმალური ღონისძიებებიც კი, სახალხო დამცველის შეფასებით, უნდა დადგეს კომპანიის პასუხიმგებლობაც დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად შესაბამისი ზომების გაუტარებლობის გამო.

მოვლენათა განვითარების თანმიმდევრობა და საქმეში არსებული პირდაპირი მტკიცებულებები ცალსახად მიუთითებს, რომ განმცხადებლებისათვის მომსახურების გაწევაზე უარი განპირობებული იყო მისი პროფესიული ნიშნით, უფლებადაცვითი საქმიანობის გამო.

საქმეში არსებული გარემოებებისა და მტკიცებულებების გაანალიზების საფუძველზე, სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ განმცხადებელთა უფლებაში ჩარევის საფუძველს მისი პროფესიული საქმიანობა ლგბტ+ ადამიანების უფლებადაცვით სფეროში მოღვაწეობა წარმოადგენდა, რომელიც მიუღებელი აღმოჩნდა კომპანიისათვის, ჰომოფობიური დამოკიდებულების გამო. მოპასუხემ კი ვერ წარმოადგინა სათანადო და დამაჯერებელი არგუმენტაცია, რომელიც დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდს გაუქარწყლებდა. შედეგად, კომპანიის ქმედება მომსახურების სფეროში ასოციაციით სექსუალური ორიენტაციის და პროფესიული საქმიანობის ნიშნით დისკრიმინაციაში გამოიხატა.

შესაბამისად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველი მიმართავს შპს „კოპიპრინტ-2000“-ის დირექტორს:

- კომპანიის თანამშრომლებმა მომავალში თავი შეიკავონ მომსახურების სფეროში სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის და პროფესიული ნიშნით, ასევე სხვა ნიშნის საფუძველზე დისკრიმინაციული მოპყრობისგან და სამეწარმეო საქმიანობა თანასწორობის პრინციპის დაცვით წარმართონ;
- შეიმუშავოს დისკრიმინაციის აკრძალვისა და პრევენციის პოლიტიკის შიდა დოკუმენტი და უზუნველყოთ კომპანიის თანამშრომლებისთვის ტრენინგის ჩატარება თანასწორობის და დისკრიმინაციის დაუშვებლობის საკითხებზე, რათა ხელი შეუწყოთ ლგბტ+ თემისა და სხვა დაუცველი ჯგუფების მიმართ შემწყნარებლური გარემოს ჩამოყალიბებას თქვენს კომპანიაში.

სახალხო დამცველის ოფისი აღნიშნულ პროცესში მხარდაჭერის მზადყოფნას გამოთქვამს.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,